ᲒᲠᲣᲚᲔᲑᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲜᲝᲒᲝ Ი ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡᲙᲝᲒᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲝᲕ ᲙᲞ (Ბ) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ი ᲡᲝᲕᲔᲗᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲣᲨᲐᲥᲔᲠᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ
16 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
1940 Წ.
№ 189 (5890)
ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

თვითეული კომუნისტისა და კომკავშირელის წმინდათა-წმინდა მოვალეობა

საკ. კ. პ. (ბ) წესდება მოითხოვს, რომ პარტიის თვითეული წევრი წარმოადგენდეს შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დაცვის ნიმუშს, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ ამაღლებდეს თავის საწარმოო, საქმიან კვალიფიკაციას. კომუნისტი მოწოდებულია უწინარეს ყოვლისა მუშაობაში: კომუნისტი-მუშა—დაზგასთან, კომუნისტი - მოსამსახურე — დაწესებულებაში. შეუწყნარებელია თუნდაც ერთი ისეთი ფაქტი, რომ კომუნისტი, ესე-იგი საბჭოთა საზოგადოების მოწინავე ადამიანი, თავის საწარმოო მოვალეობას უსინდისოდ, ჩინოვნიკურად ეკიდებოდეს. ნამდვილი კომუნისტი და კომკავშირელი მუშაობას ახმარს მთელ თავის ძალღონეს, ნიჭს, ოსტატობას, გამოცდილებას. მხოლოდ მაშინ აქვს მას უფლება ატარებდეს ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის, ბოლშევიკის, კომუნიზმისათვის მებრძოლის სახელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება ლახვარსა სცემს ცუღლუტებსა და მუქთახორებს. საბჭოთა ქვეყანაში ყოველი ადამიანი, რომელიც თავს არიდებს პატიოსან მუშაობას, რომელსაც სურს რაც შეიძლება მეტი წაჰგლეჯოს და რაც შეიძლება ნაკლები მისცეს სახელმწიფოს ამით ხალხის საზიანოდ მოქმედებს. ლენინი არაერთხელ აღშფოთებით ლაპარაკობდა მუქთახორებსა და დაუდევრებზე, რომლებსაც სოციალიზმის მთავარ მტრებს უწოდებდა.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებას, რომელიც მოქმედებს სამშობლოს ინტერესებისათვის, საბჭოთა კავშირის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის, მთელი ხალხი მოწონებით შეხვდა. ეს ბრძანებულება შეიდგა ჩვენი კანონმდებლობის სისტემაში, როგორც გადამწყვეტი, ენერგიული საშუალება ბრძოლისა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, დაუდევრობის, ცუღლუტობის წინააღმდეგ, სოციალისტური წყობილების ინტერესების უხეში და უსირცხვილო დარღვევის წინააღმდეგ.

თვით დაკავშირება სიტყვებისა კომუნისტი—გამცდენი, კომუნისტი — ფრენია არაბუნებრივია. სამუშაოს გაცდენა შეუთავსებელია პარტიის წევრის სახელწოდებასთან. კომუნისტი — სამუშაოს გამცდენი, რომელმაც უხეშად დაარღვია სახელმწიფო და პარტიული დისციპლინა, ამით თვითონ აყენებს თავს ჩამორჩენილი, მაჩანჩალა ელემენტების რიცხვში და ღირსი არ არის საკ. კ. პ. (ბ) რიგებში ყოფნისა. ეს ესმის ჩვენი დიადი პარტიის წევრთა უდიდეს უმრავლესობას.

კომუნისტები სათავეში უდგანან შემოქმედებითს აღმავლობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როდესაც პარტიის ცალკეული წევრები და კომკავშირელები არღვევენ 26 ივნისის ბრძანებულებას, ნებას აძლევენ თავიანთ-თავს უპასუხისმგებლოდ, დაუდევრად, ანტისახელმწიფოებრივად მოეკიდონ თავის საწარმოო მოვალეობას, მუშაობას. ადგილი აქვს ისეთ მდგომარეობასაც, როდესაც ზოგიერთი პარტიული მუშაკი დგება არასწორ, არაბოლშევიკურ პოზიციებზე, ცდილობს თავი დააძვრინოს სამუშაოს გამცდენს ან ფრენიას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჯიბეში პარტიულ ან კომკავშირულ ბილეთს ატარებს. „ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებსაც თავის მოვალეობად არ მიაჩნიათ პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება და რომლებიც, ამრიგად, არღვევენ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის საფუძვლებს". (სტალინი).

ამასწინათ ტრესტ „კუიბიშევუგოლის" № 8 მაღარო „ვეტკაში" პარტიის წევრმა კოვალმა სამუშაოზე დაიგვიანა. საქმე გადაეცა სასამართლოს, რომელმაც სამუშაოს გაცდენს მიუსაჯა შრომა-გასწორებითი სამუშაოები ოთხი თვით. მაგრამ პარტკომმა ბიურომ თავის მოვალეობად არ ჩასთვალა განეხილა კოვალის მოქმედება, როგორც სჩანს, მისი დანაშაული მიიჩნია ნაკლებ მნიშვნელოვან საქმედ, რომელიც პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ღირსი არ არის. პარტკომის ცუდ მაგალითს მაღაროს კომკავშირული ორგანიზაციაც ჰბაძავს. ელექტროზეინკალი კომკავშირელი ვარენიკი სამუშაოზე არ გამოვიდა, იგი სამართალში მისცეს და მიუსაჯეს შრომა-გასწორებითი სამუშაოები ექვსი თვით. მაგრამ კომკავშირის კომიტეტმა გვერდი აუარა ამ სამარცხვინო ფაქტს, არ განხილა იგი, არ გამოიტანა არავითარი დასკვნა.

კრასნოდარში მე-12 სამკერვალო ფაბრიკის მუშამა პარტიის წევრმა ნოვიკოვმა სამუშაო გააცდინა. იგი გასამართლეს, პარტიულ ორგანიზაციას კი დღემდეც არ განუხილავს ნოვიკოვის საქმე. პარტბიუროს მდივანმა ამბ. ვოლოდკინამ განაცხადა: „კარგი კომუნისტია, პირდაპირ მენანება ეგ ბიჭიო".

ისეთი პარტიული ხელმძღვანელები, როგორიცაა ამხ. ვოლოდკინა, როგორც სჩანს, ფიქრობენ, რომ პარტიის წევრის სახელწოდება წარმოადგენს შრომას ბრალეულობათა და დანაშაულობათა დასაფარავად.

ბოლშევიკური პარტიის წევრის მაღალი და საპატიო სახელწოდება დიდ მოვალეობას აკისრებს იმას, ვინც ამ სახელწოდებას ატარებს. ამ მოვალეობათაგან უპირველესია — წარმოადგენდეს ნიმუშს წარმოებაში, პირადად საქმით უჩვენებდეს პატიოსანი, თავგანწირული მუშაობის მაგალითს, თავისი მაგალითით იტაცებდეს სხვებს. ხოლო იმბობა ვითხვა, რა ნიმუშს შეიძლება წარმოადგენდეს ის კომუნისტი ან კომკავშირელი, რომელიც სამუშაოს აცდენს?

ამ დღეებში „პრავდა" იუწყებოდა, თუ ვინ გარიცხეს პარტიიდან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ქალაქ მოსკოვის პროლეტარულ რაიონში. აი ისინი, სოციალისტური წარმოების ეს დეზორგანიზატორები, რომლებსაც, სამწუხაროდ, აქამდე ჰქონდათ პარტიული ბილეთები. საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულია სტალინის სახელობის ავტოქარხნის მუშა ვინმე ჩემადუროვი. 8 აგვისტოს მან მთელი დღე გააცდინა, რადგან მთვრალი იყო. ჩემადუროვი პირველად როდი აცდენს სამუშაოს. ეს არის წარმოების ტიპიური დეზორგანიზატორი, გახრწნილი და გადაგვარებული ადამიანი. რომელსაც დიდი ხანია პარტიასთან საერთო აღარაფერი აქვს. მაგრამ ქარხნის პარტიული ორგანიზაცია დღემდე დაუშვებელი ლმობიერებით ეპყრობოდა მას. იმავე ქარხანაში სამუშაოს გაცდენისათვის გარიცხულია პარტიის კანდიდატი 1932 წლიდან შეიბაკი. შეიბაკი ერთხელ უკვე დაითხოვეს წარმოებიდან — მუშაობის დროს ძილისათვის. მას ახასიათებენ, როგორც ცუღლუტს, წყალწაღებულ ზარმაცს. მაგრამ იბადება კითხვა, როგორ მოხდა, რომ ასეთ თვისებათა მქონე ადამიანები შეუშჩნეველად რჩებოდნენ პარტიულ წრეში? მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში გულგრილად უყურებენ პარტიის წევრთა დანაშაულს, ადამიანებს ასობითა და ათასობით სთვლიან, მათი ინდივიდუალური შესწავლა კი ავიწყდებათ.

იქ, სადაც პარტიულ ორგანიზაციებს მანილოვები ხელმძღვანელობენ, იქ სამუშაოს გამცდენი კომუნისტების გარშემო არ იქმნება ჯეროვანი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მკვეთრად და გადაჭრით დაჰგმობს მათს დანაშაულს. ასეთ ორგანიზაციებში არაიშვიათად შეიძლება შეხვედეთ ადამიანებს, რომლებიც საწარმოო მუშაობას მეორე რიგში აყენებენ და ამჯობინებენ ილაპარაკონ მის შესახებ „საერთოდ და მთლიანად" კრებებსა და სხდომებზე.

სოციალისტური საზოგადოების აქტიური მოქალაქე ის არის, ვინც ხალხის ინტერესებს პირველ რიგში აყენებს, ვინც თავისი ძალღონისა და უნარის სრული დაძაბვით მუშაობს. მუდმივი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე და ამავე დროს სისტიკი ბრძოლა წარმოების ყველა დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ ' განპირობებულია ჩვენი სამშობლოს და ხალხის ინტერესებით. საბჭოთა კავშირში ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი არ არიან. ყველანი მუშაობენ ხალხისათვის, სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისათვის, თავისი ბედნიერებისა და თავის შვილთა ბედნიერებისათვის. აი რატომ არის, რომ უქნარები და მუქთახორები აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევენ საბჭოთა საზოგადოებაში.

ის კომუნისტები და კომკავშირელები, რომლებიც შრომის დისციპლინას არღვევენ, სჩადიან მძიმე დანაშაულს, რომელიც შეუთავსებელია ჩვენი საზოგადოების მოწინავე წევრის მაღალ სახელწოდებასთან. ის კომუნისტები და კომკავშირელები, რომლებიც თვითნებურად წავიდნენ საწარმოდან და დაწესებულებიდან ან სამუშაო გააცდინეს, არა მარტო დასჯილ უნდა იქნან სასამართლოს წესით, არამედ გარიცხულიც უნდა იქნან პარტიისა და კომკავშირის რიგებიდან, როგორც სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის ბოროტი დამრღვევნი.

სოციალიზმი როგორც საზოგადოებრივი წყობილება ჩაება ისტორიულ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან. სოციალიზმმა უნდა დაამარცხოს მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა და აუცილებლადაც დაამარცხებს იმიტომ, რომ მას შეუძლია მოგვცეს შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება და მოგვცეს კიდეც შრომის ასეთი ნაყოფიერების, სოციალისტური წყობილების შესაფერი ნაყოფიერების ნიმუშებს გვიჩვენებენ ათასობით და ათასობით საუკეთესო სტახანოველნი და მათ შორის — პირველთაგან პირველნი — ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრები და კომკავშირელები.

თვითეული კომუნისტისა და კომკავშირელის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა — უწინარეს ყოვლისა პირადად საქმით იძლეოდეს შრომისადმი პატიოსანი, სოციალისტური დამოკიდებულების მაგალითს. თვითეული კომუნისტი და კომკავშირელი უნდა წარმოადგენდეს შრომითი, სახელმწიფო, პარტიული დისციპლინის განსახიერებას. ამას ავალებს მას ლენინ-სტალინის პარტიის წევრის მაღალი სახელწოდება, ლენინურ-სტალინური კომკავშირის წევრის მაღალი სახელწოდება.

„პრავდის" მოწინავე, 14/VIII.

მინის განაწილება ღიწვის სს რესპუბლიკაში

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ, 14 აგვისტო (საკდესი). სახელმწიფო მიწის კომისია იუწყება, რომ 12 აგვისტოსათვის აღწერილია 30.850 მეურნეობა, რომელთაც ეხებათ მიწათმოწყობა. მიწის მიცემაზე შემოსულია 164.179 განცხადება. მაგრამ განცხადების შემტანთა შორის არიან ისეთი პირნი, რომლებიც ქალაქებში ცხოვრობენ და ეშუშაობენ და მიწის მიღების უფლება არა აქვთ.

სათემო კომისიები 16 აგვისტომდე შეამოწმებენ და დააზუსტებენ მიწის ფონდს და განიხილავენ ყველა განცხადებას. მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ისინი განსაზღვრავენ, ვის რამდენი მიწა უნდა მიეცეს, გამოაკრავენ იმ პირთა სიებს, რომელთაც მიწა ეძლევათ და ოომელთაც მიწა ჩამოეჭრებათ.

სამაზრო კომისიები 18 აგვისტოსათვის დაამტკიცებენ მიწის განაწილებას, გაარჩევენ საჩივრებსა და ცენტრს მიაწვდიან ცნობებს მიწის ფონდების შესახებ.

მასწავლებელთა პირველი სრულიად-ლიტვის ყრილობა

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ, 14 აგვისტო (საკდესი). დღეს გაიხსნა მასწავლებელთა პირველი სრულიად-ლიტვის ყრილობა. ყრილობაზე შეიკრიბა საბჭოთა ლიტვის დაწყებითი და საშუალო სკოლების ათასობით მასწავლებელი. მასწავლებლებს მიესალმნენ განათლების მინისტრი ვენცლოვა, საგარეო საქმეთა მინისტრი, პროფესორი კრევე-მიცკევიჩუსი, შინაგან საქმეთა მინისტრი გედვილასი.

ყრილობაზე მოისმენენ მთელ რიგ მოხსენებებს და განიხილავენ საკითხს ლიტვაში სკოლის რეფორმის შესახებ. სმეტონის რეჟიმის დროს სკოლებში შოვინიზმს ნერგავდნენ. მრავალი სკოლა იეზუიტებსა და ბერების სხვა ორდენებს ეკუთვნოდა. ჩვეულებრივ სასწავლებლებში სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი ქსენძები იყვნენ. ცდილობდნენ მოწაფეები აღეზარდათ სმეტონის რეჟიმის ერთგულ მსახურებად, დამბეზღებლებად და ჯაშუშებად. პროგრესიულ ახალგაზრდობას დაუნდობლად სდევნიდნენ. საკონცენტრაციო ბანაკებში იყო სასჯოლო ასაკის მრავალი ახალგაზრდა.

დღეს ყრილობამ მოისმინა მოხსენებები თემებზე: სტალინური კონსტიტუცია; საბჭოთა ლიტვის ხასწავლებლობის ამოცანები; ლენინი და სტალინი სახალხო მასწავლებლების შესახებ. სპეციალური მოხსენება წაიკითხეს თემაზე — საბჭოთა სკოლაში ლიტერატურის სწავლების შესახებ.,

ყრილობა ორ დღეს გასტანს. იგი დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს.

საბჭოთა ლატვიაში

ᲠᲘᲒᲐ, 14 აგვისტო (საკდესი). ლატვიის ყველა გიმნაზიას საშუალო სკოლა დაერქვა. ამ სკოლებში ისწავლის 40 ათასი ბავშვი. სწავლა უფასოა. წინათ 7 ათასამდე ბავშვი სკოლას სტოვებდა, რადგან სწავლის ქირის გადახდის საშუალება არა ჰქონდა.

○

რესპუბლიკაში დაიწყო მუშაობა მიწის განაწილებისათვის. ამ სამუშაოში ჩაბმულია 700 მიწისმზომელი. მაგრამ სპეციალისტთა ეს რაოდენობა არ კმარა, ამჟამად მიწისმზომლებად გამოყენებულ იქნებიან ის პირნი, რომლებიც გეოდეზიაში ერკვევიან.

○

მნიშვნელოვნად ფართოვდება სოფლად სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი. იხსნება 70 სარაიონო სავადმყოფო და სამშობიარო სახლი. უახლოეს ხანში სოფლის ექიმები პრაქტიკას გაივლიან ქალაქებში. ეს დაეხმარება ქვალიფიკაციის ამაღლებაში.

ჟურჟელი ახალი რესპუბლიკებს მშრომელთათვის

ᲝᲠᲔᲮᲝᲕᲝ-ᲖᲣᲔᲕᲝ. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელთათვის გაზეთ „პრავდის" სახელობის დულევის ქარხანამ დაამზადა და გაგზავნა სამი ვაგონი ფაიფურის ჟურჟელი: ფინჯნები, ჩაიდნები, თეფშები, სასალათეები და სხვ.

ქარხანამ 50 ათასზე მეტი ფაიფურის ნაწარმი გაგზავნა ავრეთვე კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში.

საბჭოთა ესტონეთში

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ, 14 აგვისტო (საკდესი). ესტონეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის პიონერთა ორგანიზაციების მსგავსად პიონერთა ორგანიზაციების შექმნის შესახებ. ამჟამად დიდი მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს ხელმძღვანელთა და ინსტრუქტორთა კადრების შესარჩევად. პიონერთა ორგანიზაციები თავის მუშაობას გაშლიან სასწავლო წლის დასაწყისიდან.

○

ტალინს ჩამოვიდა მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს წევრთა ჯგუფი, რომელიც გაეცნო ელექტროსადგურს, ახალი ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას, საბავშვო სახლს და ეწვია რატუშას. საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქის ხელმძღვანელები სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ. ტალინიდან სტუმრები ტარტუს გაემგზავრნენ.

○

სახელმწიფო უშიშროების უფროსის გადაწყვეტილებით, ტალინში დახურულ იქნა რეზერვისტების კლუბი — რეაქციული ელემენტების ბუდე, რომლის საქმიანობა შეასრთულა იყო ხალხის ინტერესების წინააღმდეგ.

○

ᲢᲐᲠᲢᲣ, 14 აგვისტო (საკდესი). 24 აგვისტოს ტარტუში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენის გასახსნელად გაჩაღებულია მოსამზადებელი მუშაობა.

საბჭოთა ბესარაბიის სკოლების რეორგანიზაცია

ᲙᲘᲨᲘᲜᲝᲕᲘ, 14 აგვისტო (საკდესი). ბესარაბიაში შემოაქვთ სახალხო განათლების საბჭოთა სისტემა. დაწყებითი ოთხკლასიანი და შვიდკლასიანი სკოლები, გიმნაზიები, პროგიმნაზიები, ლიცეუმები და სემინარიები გადაკეთებულ იქნებიან დაწყებით არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებად. ვაჟთა და ქალთა სემინარიების მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასები გადაკეთდება პედაგოგიურ სასწავლებლად. სწავლა სკოლებში იწარმოებს მშობლიურ მოლდავურ ენაზე. დაწესებულია რუსული ენის სავალდებულო სწავლა.

მთელს ბესარაბიაში შემოღებულ იქნება სასკოლო ასაკის ბავშვთა საყოველთაო დაწყებითი სწავლა.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა სამმა მილიონმა კაცმა დაათვალიერა

15 აგვისტოს სრულდება სამი თვე, რაც მუშაობს 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ასეული ათასობით ადამიანები შეუნელებელი ყურადღებით სწავლობენ სოფლის მეურნეობის სტახანოველთა მოწინავე გამოცდილების ამ უმდიდრეს საგანძურს.

სამი თვის განმავლობაში გამოფენა 3 მილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

გამოფენის პავილიონებში ყოველდღე დაიარება 8 ათასზე მეტი კოლმეურნე, აგრონომი, ტრაქტორისტი, კომბაინერი, საბჭოთა მეურნეობების მუშაკი. გამოფენის სიმდიდრეს უკვე გაეცნენ უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების ათასობით გლეხები, ახალი საბჭოთა რესპუბლიკების—ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის წარმოგზავნილი პირნი, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის განთავისუფლებულ ხალხთა დელეგატები.

უახლოეს დროში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტი დაიწყებს 1940 წლის გამოფენის მონაწილეთათვის ჯილდოების მიკუთვნებას. (საკდესი).

სტალინის სახელობის პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომთა განხილვა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სტალინის სახელობის პრემიების მოსაპოვებლად მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში დაწერილ ნაშრომთა განხილვის წესი.

ყველა განცხადება და მეცნიერული შრომა, რაც კი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს აკადემიაში ან მის გარეთ მომუშავე პირთაგან მოსდის, ეგზავნებათ ინსტიტუტებს სპეციალობათა მიხედვით, ინსტიტუტები, თუ ისინი მეცნიერულ ნაშრომს დადებითს შეფასებას მისცემენ, ამ ნაშრომს სტალინური პრემიების კომიტეტებს გადასცემენ.

მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტთა მუშაკები — სტალინის სახელობის პრემიების მოპოვების კანდიდატები — აკადემიის განყოფილებათა საშუალებით წარდგენილ იქნებიან სტალინური პრემიების სათანადო კომიტეტში. (საკდესი).

საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელსადგური

მდინარე ოშის ნაპირზე, ომსკის ოლქის ტარსკის ოკრუგის სოფელ დოენიკოვოს მახლობლად, წელს იწყება დასავლეთ ციმბირში პირველი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელსადგურის მშენებლობა.

მისი მშენებლობის იდეა შარშან დაებადათ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსკურსანტებს, — სასოფლო - სამეურნეო ართელ „კრასნი ლუჩის" კოლმეურნეებს მას შემდეგ, რაც ისინი გაეცნენ გამოფენაზე მოქმედ სადგურს.

სადგურის სიმძლავრე განსაზღვრულია 75 კილოვატით. სადგური 15 ახლო-მახლო მდებარე საკოლმეურნეო სოფელს მიაწვდის სინათლესა და მოსავლის გასაღენწად საჭირო ელექტროენერგიას.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲙᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით თბილისის პარტაქტივისათვის ეწყობა ლექციების ციკლი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის, ფილოსოფიის და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პარტიული კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას და კულტურული ჰორიზონტის გაფართოებას.

14 აგვისტოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული **მარქს-ენგელს-ლენინის** ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში ლექციების ციკლიდან მოსმენილ იქნა პირველი ლექცია. ლექცია წაიკითხა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძემ** თემაზე: **„დიალექტიკური მატერიალიზმი — მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა".** თემის ყოველმხრივმა და ღრმა გაშუქებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია დამსწრეებში. ამხ. ი. თავაძემ, განმარტა რა მსოფლმხედველობის ცნება, ფართოდ გააცნო მსმენელებს მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც მოწინავე მეცნიერების, მსოფლიოს გარდამქმნელი როლი. მომხსენებელმა თავის ლექციაში ფართო ადგილი დაუთმო მარქსიზმის წინამორბედთა მსოფლმხედველობის დახასიათებას, განსაკუთრებით შეჩერდა რა ჰეგელისა და ფეიერბახის ფილოსოფიური სისტემების გარჩევაზე. ამხ. ი. თავაძემ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება **ლენინისა და სტალინის** როლზე დიალექტიკურ მატერიალიზმის, როგორც მარქსისტული პარტიის მსოფლმხედველობის შემდგომი განვითარებისა და დამუშავების საქმეში. ლექცია ილუსტრირებული იყო ცოცხალი და მდიდარი ფაქტიური მასალებით, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მსმენელთა ინტერესს.

ამ მოკლე ხანში ჩატარდება დანარჩენი ლექციებიც. შემდეგ ლექციებს წაიკითხავენ: **ბ. ლიუდვიგოვი** თემაზე „ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები"; **მ. გოგიბერიძე** — „მატერიალიზმი და იდეალიზმი"; **გ. ხაჭაპურიძე** — „ბოლშევიკთა პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში"; **ვ. გრიგორიანი** — „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ"; **ა. ჭუთელია** — „ახალი ტიპის პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა და განვითარება **ვ. ი. ლენინის** წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"; **კ. ბაქრაძე** — „იდეების როლი საზოგადოების განვითარებაში"; **ი. ტალახაძე** — „ლენინურ-სტალინური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ"; **კ. შეროზია** — „ლენინურ-სტალინური მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ"; **ტ. ათაბეკოვი** — „აღმოსავლეთის ეკონომიური მიმოხილვა".

მოსკოვს ჩამოვიღნენ გუცულთა და მოლდაველთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები

უკრაინისა და მოლდავეთის სსრ ხალხური ხელოვნების საჩვენებლად 14 აგვისტოს მოსკოვს ჩამოვიდნენ გუცულთა და მოლდაველთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. გუცულთა ანსამბლი შესდგება 103 კაცისაგან, მოლდაველთა ანსამბლი — 120 კაცისაგან.

ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲡ ᲧᲘᲜᲣᲚᲛᲭᲠᲔᲚᲘ „ᲨᲐᲣᲛᲘᲐᲜᲘ"

ᲑᲐᲯᲝ. 13 აგვისტოს ჩეჩნის კუნძულის რაიონში კასპიის ზღვის ფსკერიდან ამოიღეს ყინულმჭრელი „შაუმიანი". გემი 4 წელს იდო 26 მეტრ სიღრმეზე. ყინულმჭრელი „შაუმიანი" ბუქსირით მიიყვანეს მაჰაჩ-ყალას ნავსადგურში.

ᲦᲘᲬᲕᲐᲨᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ, ლიტვის სსრ განათლების სამინისტროსთან იქმნება ხელოვნების საქმეთა სამმართველო. ძას ეკისრება თეატრალური და მუსიკალური ცხოვრების, სამხატვრო სკოლებისა და ორგანიზაციების, მუზეუმების და სხვათა ხელმძღვანელობა.

საზღვაო ავიაცია ღღესასწაულის წინ

(ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲐᲛᲮ. Ვ. Ვ. ᲡᲣᲕᲝᲠᲝᲕᲗᲐᲜ)

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციის პირადი შემადგენლობა სიხარულით ეგებება სტალინური ავიაციის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს. გაიზარდა წითელი ფლოტის საჰაერო ძალების სიმძლავრე, განახლდა თვითმფრინავთა პარკი, ამაღლდა საბრძოლო მომზადების ხარისხი და ტემპები.

საზღვაო ავიაციის ნაწილებში ყოველდღიურად მიმდინარეობს დაძაბული საბრძოლო წვრთნა. პირადი შემადგენლობა აუმჯობესებს ფრენის ოსტატობას, სროლისა და ყუმბარტყორცნის ტექნიკას. ამ წლის ექვსი თვის განმავლობაში იმდენი საწვრთნელი საჰაერო ბრძოლა და საჰაერო სროლა ჩატარდა, რამდენიც მთელი 1939 წლის განმავლობაში. საწვრთნელი ყუმბარტყორცნის რაოდენობა, შარშანდელთან შედარებით, მარტო 1940 წლის პირველ ნახევარში ერთი-ორად გადიდდა.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს წითელდროშოვანი ბალტიკის საჰაერო მებრძოლებს, რომლებმაც თვითფინელებთან ბრძოლის დღეებში მამაცობისა და ეაქკაობის მაგალითები გვიჩვენეს. საზღვაო მფრინავთა შორის თვრამეტი საბჭოთა კავშირის გმირია. საზღვაო ავიაციის საუკეთესო ადამიანები დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საბრძოლო მოქმედების გამოცდილებით გამდიდრებული პირადი შემადგენლობა წითელი ფლოტის საჰაერო ძალებისა დაძაბულად მუშაობს საზღვაო ავიაციის სტახანოველობის ძლიერებას მიერთმევს სტალინური ავიაციის ღღესასწაულის წინ.

ავიაციის დღისათვის მრავალმა ქვედანაყოფმა და ნაწილმა შეასრულა საბრძოლო მომზადების წლიური გეგმა. კაპიტან სერგეევის ქვედანაყოფი სამართლიანად ითვლება ერთერთ საუკეთესო ქვედანაყოფად. საბრძოლო მომზადების გეგმა აქ 120 პროცენტით შეასრულეს. მნიშვნელოვნად გადიდდა ღამის ფრენა და ფრენა ღრუბლებში. გაიზარდა საწვრთნელი საჰაერო სროლის რაოდენობა. მფრინავთა შემადგენლობა გულმოდგინედ სწავლობს საჰაერო ბრძოლის ტექნიკას. საერთო ნაფრენობა იმ ნაწილში, რომელსაც მაიორი პავლოვი მეთაურობს, 1939 წელთან შედარებით, უკვე 150 პროცენტით გადიდდა.

საზღვაო-საჰაერო ძალების საუკეთესო ადამიანები მონაწილეობას მიიღებენ ავიაციის დღისასწაულობაში. საზღვაო მფრინავები, შტურმანები და მსროლელნი თავიანთ ხალხს უჩვენებენ საზღვაო საზღვრების საჰაერო დაცვის ტექნიკას, თვის საბრძოლო გაწვრთნილობასა და მზადყოფნას — პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე გამოვიდნენ საყვარელი სამშობლოს დასაცავად.

ავიაციის დღესასწაულებზე პეტერჰოფსა და ვლადივოსტოკში საზღვაო-სამხედრო პილოტები გვიჩვენებენ ინდივიდუალურსა და ჯგუფურ პილოტაჟს. ამ დღესასწაულებზე ბევრი ხალხი ნახავს თანამედროვე ჩქარ მანქანებს. (საკდესი).

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ცენტრალური სახლი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 16 აგვისტოს მოსკოვში იხსნება სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ცენტრალური სახლი. ამ დღეს აქ გაიმართება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისადმი — ავიაციის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

საღამოზე მოწვეული არიან საბჭოთა კავშირის გმირები, ცნობილი მფრინავები, მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები და დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

14 აგვისტო (საკდესი).

ავიაციის ღღის შესახვედრად

ვამოწმებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულებას

ზრამვაი-ზროლეიბუსთა ზრესვის ხელმძღვანელობამ უნდა გარდაქმნას მუშაობა

საქალაქო ტრანსპორტს მეტად დიდი როლი აკისრია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 26 ივნისის ბრძანებულების დაცვა-განხორციელების საქმეში.

საქალაქო ტრანსპორტის ზუსტად მოწესრიგებულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში დაუგვიანებლად გამოცხადება.

ასრულებს თუ არა თბილისის საქალაქო ტრანსპორტი ამ პირობას?

ვერა, ყოველთვის ვერ ასრულებს. მშრომელთა მრავალი საჩივარი შემოდის ტრამვაი - ტროლეიბუსთა ტრესტის უხეირო, მოუწესრიგებელ მუშაობაზე. საყვედურები ისმის განსაკუთრებით საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში მოძრავი ტრამვაის მარშრუტების ცუდ მუშაობაზე.

ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. კეშელავა სჩივის № 13 მარშრუტის ვაგონებზე, რომლებიც ფიროსმანისა და საბჟოს ჭუჩებზე მოძრაობენ. აქ 5 ვაგონის ნაცვლად 1-2 ვაგონი მოძრაობს და ისიც ცუდად, რადგან ამ ხაზზე უშვებენ შეუკეთებელ ვაგონებს, რომლებიც ხშირად ფუჭდებიან და უკანვე პარკში ბრუნდებიან. ამასთან არ არის დაცული გრაფიკიც. თუ ორი ან სამი ვაგონი გამოუშვეს, ყველა ერთი-მეორის მიყოლებით მოძრაობს, მეორე მიმართულებით კი მგზავრებს საათობით უხდებათ ლოდინი. ამხ. ვ. კეშელავა მიუთითებს 7 აგვისტოს მაგალითზე, როდესაც დილის 5½ საათზე 3 ვაგონი გამოუშვეს, სამივენი ერთად ჩავიდნენ კ. მარქსის მოედანთან და უკან დაბრუნებისას ორი პარკში წაიყვანეს გაფუჭების გამო. მათ მესამეც გაჰყვა, რადგან გაფუჭებული ვაგონები მას წააყვანინეს. ამგვარად ხაზი უვაგონოდ დარჩა. ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. აქ მტკიცედ არავინ იცის, გამოვა ხაზზე ვაგონები თუ არა, თვით სადგურის უფროსიც ვერ იძლევა გარკვეულ პასუხს. მუშა-მოსამსახურეებს უხდებათ ცდა ვაგონების მოლოდინში და სამსახურში დაგვიანება.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის კავშირგაბმულობის მე-4 დისტანციის ელმექანიკოსი ამხ. ბ. ლომია გვწერს:

„თბილისის ტრამვაის მუშაობას მრავალი ნაკლი ახასიათებს მგზავრთა გადაყვანის საქმეში. როგორც სინამდვილე გვიჩვენებს, ტრამვაის დირექცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ვაგონების რემონტის ხარისხს, ამიტომ ხშირია ვაგონების შარკში ბუქსირით წაყვანის შემთხვევები“.

ამხ. ლომია სჩივის მე-3 და მე-4 მარშრუტების არაწესიერ მოძრაობაზე. დროის ინტერვალი ვაგონებს შორის ხშირად ნახევარ საათს აღწევს, ხოლო დიდი ლოდინის შემდეგ გამოჩნდებიან ერთი-მეორის მიყოლებით წეროებივით გაბმულნი. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ტროლეიბუსების შოფერები არ უღებენ მგზავრებს ვაგონის კარებს, მიუხედავად თავისუფალი ადგილებისა. ამის დასადასტურებლად კორესპონდენციის ავტორს მოჰყავს 25 ივლისის მაგალითი, როდესაც № 30, 34 და 24 ტროლეიბუსთა შოფერებმა საღამოს 6 საათზე ჟორესის ქ. და პლეხანოვის პროსპექტის კუთხეში მგზავრებს არ გაუღეს კარები მიუხედავათ იმისა, რომ უკანა სკამები თავისუფალი იყო. კონტროლიორები ამ უმსგავსოებას კონტროლს არ უწევენ.

მრავალი ასეთი ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა სხვა ავტორთა კორესპონდენციებიდანაც. სიგნალები გვაქვს № 9 მარშრუტის მუშაობაზეც, მაგრამ იმის საილუსტრაციოდ, რომ თბილისის ტრამვაი - ტროლეიბუსების ტრესტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებებიდან სათანადო დასკვნები ვერ გამოუტანია, ესეც კმარა. ჩვენი დედაქალაქის ამ ყველაზე მასობრივი ტრანსპორტის ხელმძღვანელებს და მის ზოგიერთ მუშაკს აქამდე ვერ შეუგნიათ, მათი უაღრესად პასუხსაგები როლი 8-საათიანი სამუშაო დღის დაცვა-გატარების საქმეში, ვერ შეუგნიათ, რომ მათზე დიდათ არის დამოკიდებული სამუშაოზე მუშა-მოსამსახურეთა დაგვიანებით გამოცხადების აღმოფხვრა.

სანამდე უნდათ მათ ასეთი მუშაობის გაგრძელება ჩვენ არ ვიცით, ხოლო ის კი ცხადია, რომ ხალხის ინტერესებთან, სახელმწიფოს, პარტიის ინტერესებთან ტრამვაის მოყვნელი ხელმძღვანელობის მუშაობა შეუთავსებელია.

შეიძლება ამ შემთხვევაში პირდაპირ ტრესტის პარტორგანიზაციას ვუსაყვედუროთ. მისი კონტროლი მოძრავი შემადგენლობის რემონტის ხარისხზე და მოძრაობის გრაფიკის დაცვაზე, სჩანს, ძლიერ სუსტია, თორემ როგორ შეიძლება პარკიდან ისეთი ვაგონების გამოშვება, რომლებიც რამდენიმე რეისის შემდეგ გაფუჭების გამო უკანვე ბრუნდებიან სარემონტოდ?

ტრამვაი - ტროლეიბუსთა ტრესტის პარტორგანიზაცია ამ გარემოებას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს და აქედან სათანადო დასკვნები გააკეთოს.

ან. ზურაშვილი

სტახანოვური მოძრაობის მეხუთე წლისთავის შესახვედრად

თბილისის საორთქლმავლო დეპოში

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ემზადება სტახანოვური მოძრაობის მეხუთე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა შორის ძლიერდება ბრძოლა შრომის სტახანოვური ნაყოფიერებისათვის. ავტოსარემონტო საამქროში 10 აგვისტოს ზეინკალმა ამხ. საულიმა, რომელიც სისტემატურად ორ ნორმას ასრულებს დღეში, 8 საათის განმავლობაში შეაკეთა „ტანდემის“ სისტემის ორი ტუმბო „ე“ სერიის მძლავრი ორთქლმავლებისათვის და, ამრიგად, დღიური ნორმა 300 პროცენტით შეასრულა. ორი ტუმბო შეაკეთა დღეში აგრეთვე ზეინკალმა წერეთელმა. ამხ. ლუკასმა 8 საათის განმავლობაში შეაკეთა მანქანის ამწი, სვლადი ტუმბოს რეგულატორი და ორთქლმავლის განმანაწილებელი, რაც ნორმით 16 საათში უნდა გაკეთებულიყო. (საქდესი).

მთავარ ამოცანას ნუ დავივიწყებთ!

— აი, ციფრები, ფაქტები, ბრძანებები, ყოველდღიური ცნობები!— სთქვა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ბახტაძემ და მაგიდის უჯრიდან აკინძული ქაღალდები ამოიღო, — გაეცანით ამ ქაღალდებს და თქვენ ნათელი წარმოდგენა გექნებათ ჩვენს ქარხანაში 26 ივნისის ბრძანებულების რეალიზაციაზე. ამ მიმართულებით ჩვენ ცუდი მდგომარეობა არა გვაქვს.

ვულდასმით გადავათვალიერეთ დირექციის აპარატში „გამოყვანილი“ ნაკრები ცნობები და აღმოჩნდა: 26 ივნისიდან 26 ივლისამდე სამუშაოზე დაიგვიანა 55 კაცმა, 27 ივლისიდან 3 აგვისტომდე — 12 კაცმა. 1, 4, 9 და 14 ივლისს დაგვიანების მასობრივ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. ამ დღეებში 13-13 კაცმა დაიგვიანა.

აღმოჩნდა, რომ შრომის დისციპლინას კომუნისტებიც არღვევენ. პარტიის წევრობის კანდიდატებმა ბ. გრიგორიანმა და ვ. ფარიზოვმა სამუშაოზე დაიგვიანეს, პარტიის წევრმა ივ. კოტოლაშვილმა 19 და 20 ივლისს სამუშაო გააცდინა და ასე შემდეგ.

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, ქარხანაში არც ისე დამამშვიდებელი მდგომარეობაა, როგორც ამხ. ბახტაძეს ეჩვენებია.

აქვე პატარა შენიშვნა ქარხნის სამმართველოს ნაკრებ ცნობებზე, რომელთაც დიდი სიფაქიზით ინახავენ პარტიული მუშაკები.

ცნობები თავისთავად კარგი საქმეა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თვით პარტიული მუშაკები ჩაწვდნენ წარმოების ეკონომიკის საკითხებს, შეისწავლონ მრეწველობის ტექნოლოგიური პროცესები და არ დაკმაყოფილდნენ ნაკრები ცნობებით, არ ეყრდნობოდნენ მარტო მშრალ ციფრებს.

კარგია, რომ პარტორგანიზაციამ 26 ივლისს დია პარტიულ კრებაზე განიხილა 26 ივნისის ბრძანებულების რეალიზაციის საკითხი, მოისმინა ქარხნის დირექტორის ამხ. აბრამოვის მოხსენება. მაგრამ უცნაურად მივვაჩინა ის, რომ აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში უკანასკნელად მოაქციეს. მოხსენება დამთავრდა, კამათში ხუთი ამხანაგი გამოვიდა, მიიღეს ღონისძიებაც, რომელიც ხუთი მუხლისაგან შესდგება. თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ, როდესაც ამ მასალებს ათვალიერებთ, აჩქარებისა და ზერელეობის შთაბეჭდილება მაინც გრჩებათ.

ერთი რამ კიდევ უნდა ვუსაყვედუროთ პარტბიუროს. აგვისტოს სამუშაო გეგმაში კრინტი არაა დაძრული 26 ივნისის ბრძანებულებაზე, შრომის დისციპლინაზე.

— სტახანოვური მოძრაობის საკითხებს დავუკავშირებთ ბრძანებულების შესრულების საკითხებსო, — გვეუბნება ამხ. ბახტაძე. მეტად საჭიროა, რომ 26 ივნისის ბრძანებულებას მეორეხარისხოვან საქმედ სთვლიან.

ორი სიტყვა კომუნისტ ივ. კოტოლაშვილზე, რომელმაც ორი დღე გააცდინა. იგი მსაჯული იყო. 19 და 20 ივლისს ქარხნის ხელმძღვანელობას ატყობინებს, რომ ის სასამართლოში ვარ გამოძახებული, გამანთავისუფლეთო. ასეც მოიქცნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კოტოლაშვილი არც სასამართლოში გამოცხადდა და არც ქარხანაში მივიდა. აი, შრომის დისციპლინის უხეში დარღვევა. კოტოლაშვილმა ქარხნის ხელმძღვანელობა მოატყუა, სასამართლოშიც არ წავიდა!

პარტბიუროს შრომის დეზორგანიზატორ კოტოლაშვილზე მხოლოდ 30 ივლისს იმსჯელა. საერთო კრებაზე კი მისი საკითხის განხილვას 20 აგვისტოს ფიქრობენ.

— განთავისუფლდეს მსაჯულობიდან, ხოლო როგორც პარტიის წევრს, მიეთითოს — ასეთია პარტორგანიზაციის ბიუროს აზრი.

— თუ მიხვდება, კოტოლაშვილისათვის ესეც დიდი სასჯელიაო, — გულუბრყვილოდ ამბობს პარტბიუროს მდივანი.

წარმოების დეზორგანიზატორს, რომელმაც ორი დღე გააცდინა და ქარხანა მოატყუა — „მიეთითოს“!

მეტი ლმობიერება განა შეიძლება? უნდა ვიცოდეთ, რომ გადაჭარბებულ ლმობიერებას საქმისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამჟამად პარტიული ორგანიზაციების **მთავარ ამოცანას** მრეწველობის მიმართ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების წარმატებით განხორციელება, შრომის ნაყოფიერების განუხრელად ზრდა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს.

ამ მთავარ ამოცანას ნუ დავივიწყებთ!

პ. ჭიოკაძე

ბ. მელიქოვის „საკვანძო მიზეზი“

11 აგვისტოს კვირა-დღეს, ისვენებდნენ თბილისის მშრომელები. ზოგი ფუნიკულორზე მიდიოდა, ზოგი ლისის ტბაზე, ზოგი ხუდადოვის ტყეში, ზოგიც ქალაქ გარეთ.

„ისვენებდა“ ბ. მელიქოვიც — თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობის საამქროს ხარატი.

— მაგრამ მშრალ დასვენებას აბა რა შნო და ლაზათი აქვს?

კვირას დილით მანაც გაისეირნა, თავისი „ძმა-ბიჭებით“ და რესტორანში შეუხვიეს.

მზე უკვე გადახრილი იყო, რომ „ძმა-ბიჭები“ სუფრას ჩაუჯდნენ.

შუაღამე გადასული იყო, ხოლო რესტორანი თითქოს ციბრუტივით ტრიალებდა, როდესაც ღვინით გაჟღენთილი „ძმა-ბიჭები“ ერთმანეთს დაშორდნენ...

მელიქოვმა ახლაც არ იცის როგორ მიაღწია ბინამდე, უგრძნობლად დაიძინა და მეორე დღეს გვიან გაიღვიძა. მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ სამუშაოზე უნდა გამოცხადებულიყო. თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ მაინც გადასწყვიტა ქარხანაში წასვლა.

ქარხანაში გაჩაღებული მუშაობა იყო. მელიქოვის სახარატო დაზგა უქმად იდგა, მუშაობა ფერხდებოდა. მან 1 საათი და 50 წუთი დაიგვიანა.

საამქროს უფროსის ამხ. არ. მკრვალიშვილის კითხვაზე თუ რატომ დაიგვიანა—ბ. მელიქოვმა უსიცხვილოდ უპასუხა:

— გუშინ დავთვერ, გვიან დავიძინე და დილით გვიან გამომელვიძა.

მისი საქმე სასამართლოს გადასცეს. ის კი თავს იმართლებდა: რა მოხდა სამუშაოზე დავიგვიანე, მეტი ხომ არაფერი დამიშავებიაო!

იქნებ პირველია ასეთი შემთხვევა, იქნებ პირველად დაარღვია მან შრომის დისციპლინა? რა თქმა უნდა არა! მელიქოვის უდისციპლინობას, მის დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობას საზღვარი არა აქვს. ხოლო სამწუხარო ისაა, რომ ამწყობ საამქროში სხვებიც ჰბაძავენ მას.

სახალხო მოსამართლე მელიქოვის საქმის გარჩევას ალბად არ გააჭიანურებს და მხედველობაში არ მიიღებს მის „საპატიო მიზეზს“.

პ. ადამიძე

ეჯვის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 14 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ ბეჭდის მცველი ლორდი ეტლი გუშინ თემთა პალატის სხდომაზე გამოვიდა პასუხით იმ შეკითხვაზე, რომელიც შეეხებოდა ინგლისში ინტერნირებულ უცხოელ ლტოლვილთა საზღვარგარეთ გაგზავნას.

ეტლიმ განაცხადა: „მხედველობაში მიიღო რა გერმანიის მიერ ბელგიისა და ჰოლანდიის, აგრეთვე ჩრდილოეთ საფრანგეთის ოკუპაციის შედეგად შექმნილი ახალი სტრატეგიული მდგომარეობა, ინგლისის მთავრობა ივნისის დამდეგს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნაციონალური უშიშროების ინტერესებისათვის მიზანშეწონილია ლტოლვილ უცხოელთა ერთი ნაწილი ინგლისიდან გადაყვანილ იქნას საზღვარგარეთის ქვეყნებში. მთავრობას მხედველობაში ჰქონდა აგრეთვე, რომ მტრის მოსალოდნელი შემოჭრის პირობებში ინგლისისათვის საერთო საშიშროებას წარმოადგენს, რომ ბრიტანეთის კუნძულების ტერიტორიაზე იმყოფება დიდძალი ლტოლვილი უცხოელი, რომლებიც თავმოყრილი არიან ინგლისის სხვადასხვა კუთხის შედარებით მცირერიცხოვან ბანაკებში. ამასთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სხვა ქვეყნებში გაგზავნილიყო ინგლისში ინტერნირებული 9.120 გერმანელი და ავსტრიელი. ეს პირნი გაიგზავნენ კანადასა და ავსტრალიაში“.

ბრძოლა ჰოლანდიის ინდოეთისათვის

ტოკიო, 14 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ასახი“ სწერს, რომ ჰოლანდიის ინდოეთთან სავაჭრო შეთანხმების საფუძველზე ამ უკანასკნელ დროს გაძლიერდა ნავთის, კალის, კაუჩუკისა და სხვა საქონლის შეზიდვა იაპონიაში. მაგრამ,—აცხადებს გაზეთი,—ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები სხვადასხვა ფარულ ზომებს ხმარობენ, რათა ჰოლანდიის ინდოეთის რესურსები ხელთ იგდონ და ამით ხელი შეუშალონ ამ საქონლის შეზიდვას იაპონიაში. იაპონიის სათანადო ხელისუფალნი,—აღნიშნავს დასასრულ გაზეთი,—„ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორნების წინააღმდეგ სიფრთხილის უმკაცრეს ზომებს იღებენ“.

კომპარჭიის დევნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო (საკდესი). გრძელდება კამპანია ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ მას მონაწილეობა არ მიაღებინონ პრეზიდენტისა და წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში, რომლებიც ნოემბერში მოხდება. გაზეთ „დეილი უორკერის“ ცნობით, ფენიქსში (არიზონის შტატი) 12 აგვისტოს პროკურორმა აკრძალა კომპარტიის კანდიდატის წამოყენება მომავალ არჩევნებში. ქალაქ ჩარლსტონის (დასავლეთი ვირგინია) მოსამართლემ 12 აგვისტოს უარჰყო კომპარტიის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მისთვის ნება დაერთოთ მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ არჩევნების კომისიამ მასაჩუზეტსში კომუნისტური პარტიისა და მთელი სხვა პარტიების წარმომადგენლები ამოშალა კენჭსაყრელი კანდიდატების სიიდან.

ინგლისის მიერ თვითმფრინავების შეკვეთა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი ინგლისის შემსყიდველი კომისიის ხელმძღვანელმა პარვისმა დაიმოწმა რა ბაციონალური თავდაცვის კომიტეტის წევრის კნუდსენის განცხადება, გამოაცხადა, რომ 1941 წლის დამლევამდე ინგლისი, მოსალოდნელია, შესძლებს დამატებით მიიღოს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველთვიურად 1.300—1.400 თვითმფრინავი. მაგრამ ამისათვის საჭირო იქნება ამერიკის საავიაციო მრეწველობის დიდი გაფართოება, რაც არსებული გეგმებით ჯერ გათვალისწინებული არ არის. ინგლისის წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში,—სწერს შემდეგ გაზეთი,—ამას წინათ განაცხადეს, რომ სულ მოკლე ხანში მათ ყოველთვიურად დასჭირდებათ 3 ათასი თვითმფრინავი.

კომუნისტური პარტიის ოცი წლისთავის ღღესასწაული ინგლისში

ლონდონი, 14 აგვისტო (საკდესი). ინგლისის კომუნისტური პარტიის ოცი წლისთავის ღღესასწაული აღნიშნულ იქნა სტოტლანდიაში მასობრივი მიტინგებით. ყველაზე ხალხმრავალი მიტინგი შესდგა ქალაქ გლაზგოში. მიტინგზე გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი გალახერი, რომელმაც ილაპარაკა თავის მუშაობაზე პარლამენტში. მან განაცხადა: ვერ შევძლებდი პარლამენტში გამოსვლას, პარტიისა და ინგლისის ასეული ათასობით მუშების მხარდაჭერას რომ არ ვგრძნობდე.

საბჭოთა პავილიონის წარჩევება კენიგსბერგის გაზრობაზე

ბერლინი, 14 აგვისტო (საკდესი). კენიგსბერგის გაზრობაზე მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, ფინეთი, ირანი, იტალია, იუგოსლავია, ნორვეგია, შვეცია, თურქეთი, უნგრეთი და სხვა სახელმწიფოები.

კენიგსბერგში შესდგა უცხოეთის სამეურნეო წარმომადგენელთა კრება, გერმანიის აღმოსავლეთ პრუსიის სამეურნეო კამერის წარმომადგენლებთან ერთად. კრებაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბ-მა შნურემ. თავის გამოსვლაში ბ-მა შნურემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1940 წლის გაზრობის თავისებურებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მონაწილეობა მასში. ახასიათებს რა გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, შნურე აღნიშნავს, რომ ეს ურთიერთობა წარმატებით ვითარდება ორივე ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ.

შნურეს შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. ბაბარინი. გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის საფუძვლების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა თავისმა მრჩეველმა ნედენმა.

გაზრობასთან მოწყობილია საბჭოთა ეკონომიური ლიტერატურის გამოფენა. გაზრობის გახსნისათვის გამოცემულია დიდძალი ეკონომიური ლიტერატურა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირის ეკონომიკას. გამოიცა, სპეციალური ჟურნალი „ოსტოროპა მარკტ“, რომელიც მძღვანელია საბჭოთა კავშირისადმი. ჟურნალის გამომცემელია გაზრობის დირექტორი ჰანს დონოსი. გაზრობის გახსნის დღეს გამოვიდა სპეციალური გაზეთები „კენიგსბერგერ ტაგებლატი“ და „პროიოსშე ციტუნგი“. ამ გაზეთებში დაბეჭდილია მთელი რიგი სტატიები, რომლებიც აშუქებენ სსრ კავშირის ეკონომიურ განვითარებას.

გაზრობის ტერიტორიის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს გერმანიის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვა სამრეწველო ნაწარმთა გამოფენას.

საბჭოთა პავილიონში უხვად არის წარმოდგენილი სსრ კავშირის ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის ექსპონატები. აქ ნაჩვენებია აგრეთვე საბჭოთა მადნის, პურის, სელის, ბამბის, ტყის, ბეწვეულისა და სხვათა ექსპონატები. საბჭოთა პავილიონი, როგორც ამას დამთვალიერებელნი შთაბეჭდილებას წოგნში სწერენ, ასახავს საბჭოთა კავშირის სიდიადესა და სიმდიდრეს.

14 აგვისტო კენიგსბერგის გაზრობის მუშაობის უკანასკნელი დღეა.

რუგ ადლერი—შვეციის კომპარჭიის კანდიდატია რიკსდაგის დეპუტატობაზე

სტოკჰოლმი, 14 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ნიუ დაგი“ იუწყება, რომ ჰალიანდის პროვინციის დიდძალმა მუშამ შვეციის კომპარტიის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა რიკსდაგის მომავალი არჩევნებისათვის კომპარტიის კანდიდატთა სიაში შეიტანოს ყოფილი სოციალ-დემოკრატი ქალი რუტ ადლერი. რუტ ადლერი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გარიცხეს ფინეთის ომის დროს იმასთან დაკავშირებით, რომ მან სოციალ-დემოკრატ მუშებს ღია წერილით მიმართა და მოუწოდა მონაწილეობა არ მიეღოთ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო კამპანიაში. შვეციის კომპარტიის მდივანმა რუტ ადლერს სთხოვა დასთანხმდეს მისი კანდიდატურის წამოყენებაზე, რაზედაც რუტ ადლერმა წერილით პასუხი მისწერა. მაგრამ ამისათვის საჭირო იქნება ამერიკის საავიაციო მრეწველობის დიდი გაფართოება, რაც არსებული გეგმებით ჯერ გათვალისწინებული არ არის. ინგლისის წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში,—სწერს შემდეგ გაზეთი,—ამას წინათ განაცხადეს, რომ სულ მოკლე ხანში მათ ყოველთვიურად დასჭირდებათ 3 ათასი თვითმფრინავი.

ჩან კაი-შის მიმართვა

ჩუნცინი, 14 აგვისტო (საკდესი). შანხაის ბრძოლების მესამე წლისთავთან დაკავშირებით, ჩან კაი-შიმ გამოაქვეყნა მიმართვა შანხაისა და იაპონელების მიერ ოკუპირებული ყველა რაიონის მოსახლეობისადმი.

სამი წლის წინათ, ამბობს ჩან კაი-ში, როცა შანხაიში ბრძოლა დაიწყო, ჩვენ შევძელით იაპონელების წინააღმდეგ გამოგვეყვანა მხოლოდ სამი დივიზია და, მიუხედავად ამისა, მაინც ჩავფუშეთ იაპონელთა გეგმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ჩინეთის დაპყრობას სამი თვის ვადაში. მთელი მსოფლიოს თვალში ჩვენ ავამაღლეთ ჩვენი ერის ღირსება და ავაშენეთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ერთიანობის ფუძე. ამ ბრძოლაში ჩვენ ვიბრძოდით არა მარტო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის სულისკვეთებით და გამარჯვებამდე ბრძოლის უნარით, არამედ ვიბრძოდით ჩვენი ერის ბედისწერის გამო. ამ ბრძოლის შედეგად ჩინეთის საბრძოლო სულისკვეთება საყოველთაოდ აღიარებულ იქნა.

შემდეგ ჩან კაი-ში აცხადებს, რომ იგი თავის მოვალეობას შესრულებულად არ მიიჩნევს მანამდე, სანამ იაპონელები ჩინეთის ტერიტორიას არ დასტოვებენ.

დასასრულ ჩან კაი-ში აღნიშნავს ჩინეთის არმიისა და ჩინელი ხალხის გმირობას.

პირველ რიგში შევასრულოთ სახელმწიფო ვალდებულებანი

(ქასპი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

კასპის რაიონში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დასასრულს უახლოვდება. 10 აგვისტოსათვის რაიონის კოლმეურნეობებში მოსავალი აღებული იყო 9.825 ჰექტარზე. მაგრამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ლეწვა შეუწყნარებლივ ჭიანურდება. 10 აგვისტოსათვის გაულეწავი იყო 5.032 ჰექტარის მოსავალი.

ლეწვის საქმისადმი უდარდელი დამოკიდებულების შედეგად სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება სამარცხვინოდ ჩამორჩნენ სოფელ ლამისყანის, წინარეხის, აღაიანის № 2, ციხისუბნის, შუაუბნის № 2 და ქვემო-ჩოჩეთის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები: გ. ქსოვრელი, შ. ხომასურიძე, ბიჭიკაშვილი, ი. ბერბიჭაშვილი, ი. აბუჩაძე, გ. დვალიშვილი, ბ. ჯაფარიძლი და გ. ჯანანაშვილი); მათ 12 აგვისტოსათვის სახელმწიფოსათვის მარცვლეულის—სავალდებულო ჩაბარების გეგმები 33,3 პროცენტიდან 60,1 პროცენტამდე ჰქონდათ შესრულებული.

სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულება პირველი მცნებაა. მაგრამ ამ ვალშარატებით გამსჭვალული არ არიან სოფელ ბარდიანთუბნის, აღაიანის № 1 და სამთავისის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ი. ბარდაძე, ს. რუსტაშვილი და რ. ფეიქრიშვილი. აღნიშნულ კოლმეურნეობებს 12 აგვისტოსათვის გალეწილი მარცვლეულიდან სახელმწიფოსათვის ჩაბარებული არ ჰქონდათ არცერთი ცენტნერი.

ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელს ჯერ კიდევ არ გამოუტანია ყველა საჭირო დასკვნა საკ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებიდან „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღებისა და დამზადების შესახებ“. სახელმწიფოს წინაშე თავისი ვალდებულების მოხდას მეორეხარისხოვან საქმედ სთვლიან და ამით ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულს სჩადიან. სოფელ ეზატის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ოთიაშვილი) 25 ტონა მარცვლეული საწყობში შეინახეს, როცა სახელმწიფოსათვის მხოლოდ 1,5 ტონა მარცვლეული ჰქონდათ ჩაბარებული. ოთიაშვილმა მარცვლეულის ჩაბარება მაშინ დაიწყო, როცა მას ამის შესახებ რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა მიუთითეს.

ს. ჟურაშვილი

ქიონია საჩსანიას ახალი რეკორდი

ზუგდიდი („კომუნისტის“ კორ.). ჩაის ფოთლის კრეფის სახელგამთქმულმა რეკორდსმენმა კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრმა ქიონია საჩსანიამ ამ დღეებში ახალი რეკორდი დაამყარა. ერთ დღეს მან 478 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა. მოკრეფილი ფოთოლი ყველა პირველი ხარისხისაა.

ქ. საჩსანიამ ჩაის კრეფის დღიური ნორმა შეასრულა 3.186,7 პროცენტით, გამოიმუშავა 47,7 შრომადღე, რასაც ფულად უწევს 384 მან. 90 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ზრდა უწინარეს ყოვლისა გამოიხატება შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებაში, ძველი ჩვევების და შრომაზე იმ შეხედულებების დაძლევაში, რომლებიც დანერგილია ექსპლოატატორული საზოგადოების საუკუნეობრივი არსებობით.

მრავალი საუკუნის განმავლობაში მშრომელნი განწირული იყვნენ მონური შრომისათვის ექსპლოატატორებისა და მუქთახორების სასარგებლოდ. ჰქმნიდნენ რა თავიანთი შრომით საზოგადოების ყველა სიმდიდრეს, მშრომელი მასები თვითონ არ სარგებლობდნენ ამ სიმდიდრეებით, როგორც არ სარგებლობენ ისინი ამ სიმდიდრეებით ახლაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში. საზოგადოების ყველა სიმდიდრეს ითვისებდნენ გაბატონებული კლასები.

ექსპლოატატორები, რომლებიც ცხოვრობენ ზედმეტი შრომის მითვისების ხარჯზე, ყოველთვის დაინტერესებული არიან ექსპლოატაციის გაძლიერებით. გასაგებია, რომ შრომის დისციპლინა და მისი ორგანიზაცია ყველა კლასობრივ საზოგადოებაში შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ ძალადობას და ძალდატანებას. ზედამხედველის მათრახის ქვეშ მუშაობდნენ მონები. ჯოხის დისციპლინის დახმარებით, სასტიკი გასწორების შიშის ქვეშ მუშაობდნენ ყმები, მუშაობენ ახლაც კოლონიური მონები. შიმშილისაგან სიკვდილისა და უმუშევრობის შიშით თავიანთ ძალღონეს სჩიმავენ უსინდისონლო შრომაში მუშები კაპიტალიზმის ქვეყნებში.

კლასობრივი საზოგადოების პირობებში, როდესაც ერთი მუჭა ექსპლოატატორები მდიდრდებიან საზოგადოების დიდი უმრავლესობის ჩაგვრის ხარჯზე, არ შეიძლება იყოს შრომის არავითარი სხვა დისციპლინა, გარდა ჯოხის დისციპლინისა.

პატიოსანი შრომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ სარგებლობს სახელითა და პატივისცემით. გასაგებია, რომ ასეთ დამოკიდებულებას არ შეუძლია გამოიწვიოს მშრომელებში არც სიხარული და მით უმეტეს არც ენტუზიაზმი.

შრომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მძიმე ბეგარაა, რომელსაც მშრომელები ყოველნაირად ცდილობენ აარიდონ თავი. კლასობრივმა და განსაკუთრებით ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ მშრომელთა წრიდანაც ასე შეჰქმნა მუქთახორები, შეჰქმნა თაღლითები, ქურდები და ხულიგნები. ლენინი სწერდა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაჭირვება და სიღატაკე ათასობით ადამიანებს აყენებდა ხულიგნობის, მექრთამეობის, თაღლითობის, ადამიანის სახის დავიწყების გზაზე. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, აღნიშნავდა ლენინი, გარდუვალად იზრდება მშრომელებში მისწრაფება თუნდაც მოტყუებით გაექცნენ ექსპლოატაციას, თუნდაც ერთი წუთით აარიდონ თავი საძულველ სამუშაოს, წაჰგლიჯონ თუნდაც ერთი ლუკმა პური რა გზითაც, რა ფასადაც არ უნდა იყოს, რომ არ იშიმშილონ და არ აშიმშილონ თავიანთი მახლობლები.

„მდიდრები და თაღლითები, — სწერდა ლენინი, — ეს ერთი მედალის ორი მხარეა, ესენი არიან კაპიტალიზმის მიერ გამოზრდილი **პარაზიტების** ორი მთავარი თანრიგი, ესენია სოციალიზმის მთავარი მტრები...“ (ტ. XXII, გვ. 164).

სოციალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება იყონ მუქთახორები და პარაზიტები, რომლებიც ცხოვრობენ სხვისი შრომის ხარჯზე. ჩვენში ყოველი შრომისუნარიანი მოქალაქე ვალდებულია იშრომოს.

სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუცია თვითეულ მოქალაქეს მოვალეობად აკისრებს შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივს სცემდეს სოციალისტური საზოგადოების წესებს, უფრთხილდებოდეს და ანმტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას, იმსახუროს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში, დაიცვას თავისი სოციალისტური სამშობლო.

ყველა, ვინც არ ასრულებს ამ მოვალეობებს და არ უნდა მათი შესრულება, მიცემულ უნდა იქნას პასუხისგებაში კანონის მიხედვით. ჩვენ ვატარებთ და მთელი სიმტკიცით გავატარებთ დაუნდობელ ბრძოლას თაღლითებთან და ზარმაცებთან, როგორც ექსპლოატატორული საზოგადოების ყველა სისაძაგლის ცოცხალ მატარებლებთან.

ლენინი სწერდა, რომ კომუნიზმის მთელი პირველი ფაზის განმავლობაში სახელმწიფო და საზოგადოება უნდა ანხორციელებდნენ უსასტიკეს კონტროლს შრომის ოდენობაზე და მოხმარების ოდენობაზე, იმის კონტროლს, რომ თვითეული ადამიანი შრომობდეს და იღებდეს ანაზღაურებას იმ შრომის შესაბამისად, რომელსაც იგი აძლევს საზოგადოებას.

„საჭიროა ბრძოლა ძველ ჩვეულებასთან, — სწერდა ლენინი, — ვუცქეროდეთ შრომის ოდენობას, წარმოების საშუალებებს დამონებული ადამიანის თვალსაზრისით: როგორ გავითავისუფლოთ თავი ზედმეტი სიმძიმისაგან, როგორ წავგლიჯოთ თუნდაც ერთი ნაჭერი **ბურჟუაზიას**“ (იქვე, გვ. 163).

ლენინი საჭიროდ სთვლიდა უაღრესად დაუნდობელი ომის წარმოებას მუქთახორების განსაკუთრებულ ნაირსახეობასთან — თაღლითებთან და ხულიგნებთან,—იმათთან, ვინც ცხოვრობს სხვის ხარჯზე, ყველასთან, ვინც თავს არიდებს შრომას. იგი მოითხოვდა „წყეული კაპიტალისტური საზოგადოების ამ ნაშთების, კაცობრიობის ამ ნაძირალების, ამ უიმედოდ დამპალი და მკვდარი ნაწილების, ამ გადამდები სენის, შავი ჭირის, წყლულის აღმოფხვრას, რომელიც სოციალიზმს კაპიტალიზმმა მემკვიდრეობად დაუტოვა“. (იქვე).

ლენინი სწერდა, რომ საჭიროა საპყრობილეში ჩასმა იმათი, ვინც „მუშაობას თავს არიდებს“ (იქვე გვ. 166).

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც პროლეტარიატმა განდევნა მემამულეები და კაპიტალისტები, ფაბრიკა და მიწა გახდა „ასპარეზად, რომელზედაც მშრომელ ადამიანს შეუძლია გამოიჩინოს თავი, შეუძლია ცოტა გასწორდეს წელში, შეუძლია იგრძნოს თავი ადამიანად. სხვების სასარგებლოდ, ექსპლუატატორების სასარგებლოდ მრავალსაუკუნოვანი მონური შრომის შემდეგ გამოჩნდა შესაძლებლობა **საკუთარი თავისათვის მუშაობისა,** ამასთან ისეთი მუშაობისა, რომელიც ემყარება უახლესი ტექნიკისა და კულტურის ყველა მონაპოვარს“ (იქვე, გვ. 161).

შრომა სათაკილო, მონური და მძიმე ტვირთიდან გადაიქცა ღირსებისა და დიდების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ. გამარჯვებულმა პროლეტარულმა რევოლუციამ სახელმწიფოს მართვაში, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩააბა მშრომელთა ფართო ფენები. მან გამოაცოცხლა ხალხის უდიდესი შემოქმედებითი ძალები, რომლებიც მანამდე შებორკილი იყო ჩაგვრითა და გაჭირვებით.

საბჭოთა ქვეყნის ძმური ბლოკადის პირობებში, არაჩვეულებრივი გაჭირვების, ნგრევის, შიმშილის, ინტერვენციის პირობებში ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა გამოიჩინეს არნახული გმირობა როგორც ფრონტებზე, ისე ზურგში—ფაბრიკებსა და ქარხნებში.

1919 წელს, როდესაც საბჭოთა ქვეყანა გარშემორტყმული იყო ინტერვენტების რგოლით, როდესაც ქვეყანაში გამეფებული იყო ნგრევა და შიმშილი, მოსკოვ - ყაზანის რკინიგზის მუშათა ინიციატივით ყველგან დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა კომუნისტური შაბათობების ჩატარება. ლენინმა კომუნისტურ შაბათობებში დაინახა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანასახი, მასების შრომითი გმირობის გამოჩენა, როდესაც მშრომელნი ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ მიდიოდნენ სამოქალაქო ომის მიერ დანგრეული წარმოების, ტრანსპორტის აღსადგენად, მიდიოდნენ არმიისა და ფლოტის დასახმარებლად.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად შეიცვალა მუშათა კლასი, შეიცვალა გლეხობა, გამოიზარდა ახალი, სახალხო ინტელიგენცია, მუშებიდან და გლეხებიდან. მაგრამ საბჭოთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი ადამიანები, რომელთა შეგნებაში ჯერ კიდევ, და საკმაოდ ძლიერად, დარჩენილია **კაპიტალიზმის ნაშთები.**

სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია ღრმა გარდატეხა შრომისადმი მშრომელთა ფართო მასების დამოკიდებულების მხრივ. სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოიცვა მილიონობით მუშები და კოლმეურნეები. განთავისუფლებულმა შრომამ შეჰქმნა პირობები ხალხში ნიჭიერი და ტალანტიანი ადამიანების გამოვლინებისათვის, რომლებიც წინათ იღუპებოდნენ გაჭირვების გამო, ან უცნობი რჩებოდნენ კლასობრივი საზოგადოების პირობებში.

შრომამ ისტორიაში პირველად მიიღო მაღალი აღიარება. ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ შრომა განსაზღვრავს ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში, მოაქვს სახელი და პატივი, იძლევა საზოგადოებრივ სიმდიდრეში წილის დადების უფლებას. „არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითეული მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში“. **(სტალინი,** „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 643, XI გამოც.).

ჩვენს ქვეყანაში ერთნაირად საპატიოა შრომის ყველა დარგი, ვინაიდან ყველა ისინი საჭირო არიან სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და აყვავებისათვის. ამიტომ წარმოებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა დარგში ჩვენ გვყავს წარჩინებული, საპატიო ადამიანები. სოციალიზმმა მშრომელ მასებს გადაუშალა მათი უნარისა და ტალანტის, მათი ნიჭის განვითარების ფართო შესაძლებლობანი. მათთვის გახსნილია გზა განათლებისა და კულტურის ყველა სახისაკენ, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყოველი ასპარეზისაკენ.

„... ადამიანის შრომა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — კაპიტალიზმის დროს დიდად როდი ფასობს... სხვანაირად არის საქმე საბჭოთა წყობილების პირობებში. აქ მშრომელი ადამიანი პატივისცემითაა გარემოსილი. აქ იგი მუშაობს არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავისათვის, თავისი კლასისათვის, საზოგადოებისათვის. აქ მშრომელი ადამიანი თავს მივიწყებულად და ეულად ვერ იგრძნობს. პირიქით, მშრომელი ადამიანი ჩვენში თავს გრძნობს თავისი ქვეყნის თავისუფალ მოქალაქედ, თავისებურ საზოგადოებრივ მოღვაწედ. და თუ იგი კარგად მუშაობს და საზოგადოებას აძლევს იმას, რისი მიცემაც შეუძლია,—ის შრომის გმირია, იგი დიდებითაა შემოსილი“ **(სტალინი,** „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 623).

სოციალისტური საზოგადოების ძირითადი პრინციპების შესაბამისად სოციალისტურმა სახელმწიფომ განამტკიცა თვითეული მოქალაქის დიდი უფლებები. სოციალისტური საზოგადოების წევრთა ეს დიდი უფლებანი: შრომის, განათლების, მოხუცებულობაში უზრუნველყოფის და სხვ. უფლებანი—ჩვენში ცნობილია ყველასათვის. მათს განხორციელებას იცავს ჩვენი კანონები. მაგრამ ეს უფლებები გულისხმობენ ყველა მოქალაქის მოვალეობებსაც, და ამ მოვალეობებს არ უნდა ვივიწყებდეთ. სოციალისტური საზოგადოების თვითეული წევრის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა—**იშრომოს პატიოსნად,** მთელ თავის ძალღონეს და ცოდნას ახმარდეს საერთო სარგებლობას.

„შრომა სსრ კავშირში წარმოადგენს შრომისუნარიანი თვითეული მოქალაქის მოვალეობას და ღირსების საქმეს პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს“, — ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი სოციალისტური საშობლოს ინტერესების გულისათვის, ხალხის ინტერესების გულისათვის, ყოველთვის მზად არის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი. საკმარისია გავიხსენოთ, რა მხურვალედ, რა თანაგრძნობით შეხვდნენ მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, ინტელიგენცია პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიმართვას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას 8-საათიან სამუშაო დღეზე და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ. თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს ესმის, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარების პირობებში, როდესაც გაიზარდა ჩვენი ქვეყნისათვის სამხედრო საფრთხე, ეს ზომები აუცილებელია, ვინაიდან ისინი ხელს უწყობენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

○

სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გრანდიოზული ამოცანის განხორციელებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს ფართო მასების უდიდესი შრომითი აღმავლობა, კომუნისტური შეგნებულობის, ენტუზიაზმისა და გმირობის ზრდა.

პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ განვლილმა პერიოდმა მოგვიტანა მუშებისა და კოლმეურნეების ფართო მასებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ზრდის შესანიშნავი მაგალითები. აღმოცენდა მრავალდაზგოსანთა და პროფესიების შეთავსების მოძრაობა, აღმოცენდა კოლმეურნეთა შორის მასობრივი მოძრაობა არხების ასაგებად, გზების გასაყვანად და სხვა საზოგადოებრივი სამუშაოების ჩასატარებლად.

1939 წლის შემოდგომაზე უზბეკეთის 200 ათასმა კოლმეურნემ აიღო შესანიშნავი ინიციატივა. არაჩვეულებრივად მოკლე ვადაში 45 დღის განმავლობაში—მათ გათხარეს ფერგანის სტალინის სახელობის დიდი არხი, რომლის სიგრძეა 270 კილომეტრი. მშენებლობის ძველი ნორმებით ასეთი არხის გასათხრელად საჭირო იქნებოდა 6-7 წელი.

ეს იყო თავისუფალი, სოციალისტური შრომის გამარჯვება, მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის უდიდესი ზრდის მაჩვენებელი. უზბეკეთის კოლმეურნეთა ამ შესანიშნავმა მაგალითმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების კოლმეურნეებში.

ფერგანის დიდი არხის და მთელი რიგი სხვა არხების აგება სარეკორდო მოკლე ვადებში გვიჩვენებს, რა უდიდესი შესაძლებლობანი იფარება სოციალისტური წარმოების განვითარებაში, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის შრომის ნაყოფიერების გადიდებაში. ისინი გვიჩვენებენ, რომ კომუნისტურ შეგნებულობას, თავისუფალ შრომას შეუძლია ნამდვილი სასწაულების მოხდენა.

ს. ბატიშჩევი

პარტიული ცხოვრება

რკინიგზის კომუნისტებს რაიკომის დახმარება ესაჭიროებათ

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

რკინიგზის ლანჩხუთის სადგურში მომუშავე კომუნისტები საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან თავიანთ უბნებზე უკვარიო და მაღალხარისხოვანი მუშაობით. აი, თუნდაც, კომუნისტი ივანე გოგუაძე, მე-7 სოსტატო განყოფილებას რომ ხელმძღვანელობს. ეს, ის საოსტატო განყოფილებაა, რომელმაც ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის პირველი სალიანდაგო დისტანციის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. საოსტატო ყოველთვიურ დავალებას 150-180 პროცენტით ასრულებს. შესანიშნავად მუშაობს კომუნისტი ვ. იმნაძე, იგი საწარმოო დავალებას 150 პროცენტით ასრულებს, ნაცვლად 10 ტონისა ყოველდღიურად ტვირთავს 15-20 ტონას. ასევე სტახანოვურად მუშაობენ კომუნისტები ი. მარგალიტაძე, სარჯველაძე და სხვ.

მაგრამ ეს როდი მოწმობს რკინიგზის ლანჩხუთის სადგურთან არსებული პარტორგანიზაციის დამაკმაყოფილებელ მუშაობას. ეს პარტორგანიზაცია ადმინისტრაციის საქმიანობას კონტროლს არ უწევს. ამასწინათ პარტიულ კრებაზე მოისმინეს სადგურის უფროსის მოხსენება საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნეს, რომ სადგურმა გადატვირთვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დადგენილებაში ჩასწერეს: „სადგურის უფროსის მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და მომავალში იმუშაოს უფრო უკეთესად“. ცხადია, ამგვარი დადგენილებით პარტიული ორგანიზაცია ვერაფერს დაეხმარება სადგურის ადმინისტრაციას მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

პარტიულ კრებებზე სისტემატურად ისმენენ სადგურის უფროსისა და სხვათა მოხსენებებს, მაგრამ ნაკლოვანებებზე არაფერს ამბობენ. ასე, მაგალითად, სადგურში ადგილი აქვს ვაგონების სისტემატურად მოცდენის ფაქტებს. ამის შესახებ პარტორგანიზაციას არაფერი უთქვამს. ივნისში თითო ვაგონი, ნაცვლად 16½ საათისა, რაც ნორმით არის გათვალისწინებული, მოცდა 17,3 საათს, ივლისში — 29 საათს. სადგურის ადმინისტრაციის უყურადღებობის შედეგად ვაგონები ხშირად ორ-სამ დღეს არის სადგურში გაჩერებული. მაგალითად, 27 ივლისს, 5 აგვისტოს და სხვ., მაგრამ ამ ნაკლოვანების დანახვა რატომღაც არ სურს რკინიგზის ლანჩხუთის პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. ერმილე გალოგრეს.

პარტორგანიზაციის დადგენილებას მაშინ აქვს ღირებულება, როცა ახდენენ მისი შესრულების შემოწმებას, კონტროლს უწევენ კრების მიერ გამოტანილი დადგენილების თვითეული მუხლის შესრულებას მიმდინარეობას. პარტორგანიზაცია ამ მიმართულებით თითქმის არაფერს აკეთებს. პარტიულმა კრებამ ჯერ კიდევ მაისში გამოიტანა დადგენილება მეოთხე ლიანდაგში ჩიხის მოწყობის შესახებ, რაც გაადვილებდა დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაოებს. დადგენილება ქაღალდზე დარჩა, ჩიხი დღესაც მოუწყობელია.

სადგურის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველჰყო სადგურის ტერიტორიის შემოღობვა, რაც პირუტყვის მსვლერპლს იწვევს. სადგურში ანტიჰიგიენური მდგომარეობაა. მგზავრები სასმელი წყლით უზრუნველყოფილნი არ არიან. პარტორგანიზაციამ ამის შესახებაც გამოიტანა დადგენილება, რომელიც დღემდე შეუსრულებელია.

სუსტად არის დაყენებული პარტკანდიდატებთან მუშაობა. პარტიის წევრობის 5 კანდიდატიდან დავალება მხოლოდ ერთ ამხანაგს აქვს. თ. სარჯველაძეს, ს. ვადაჭკორიას გასულ წელს გაუთავდათ საკანდიდატო ვადა, მაგრამ მათთან მუშაობაზე არავის არ უზრუნია. ასევეა ს. იმნაძისა და ვ. ურუშაძის საქმე. პარტიაში მიღების დროს ადგილი აქვს ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის დარღვევას. ასე, მაგალითად, პარტორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ქ. ნ-ძე, რომელმაც დამალა თავისი წარსული. ლანჩხუთის პარტრაიკომმა ნ-ძეს სამართლიანად უარი უთხრა პარტიაში მიღებაზე.

პარტორგანიზაციაში საპროპაგანდო მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. კომუნისტები სუსტად მუშაობენ თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. თვით პარტორგანიზაციის მდივანი — ე. გალოგრე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პირველ ორ თავს არ გასცილებია. პარტკანდიდატი ს. იმნაძე (სადგურის უფროსი) სუსტად მუშაობს თავის-თავზე, იგი პარტიის ისტორიას არ კითხულობს, ასევეა ი. მარგალიტაძე (პარტბიუროს მდივნის მოადგილე) და სხვ. სამტრედიის პოლიტგანყოფილების მიერ ლანჩხუთის სადგურის პარტორგანიზაციაზე მიმაგრებულია ამხ. ბერაია, მაგრამ იგი ოშვიათად ჩამოდის ლანჩხუთში პარტორგანიზაციისთვის დახმარების გასაწევად.

მოუწესრიგებელია პარტიული მეურნეობა, ოქმები გაუფორმებელია და უშინაარსოდ არის დაწერილი. 18 ივნისს პარტკრებაზე სამი საკითხი ისე განიხილეს, რომ არცერთ მათგანზე დადგენილება არ მიუღიათ.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი სუსტად ეხმარება ამ პარტორგანიზაციას. კარგი იქნება, რომ რაიონული კომიტეტი სისტემატურად ეხმარებოდეს და ხელმძღვანელობდეს რკინიგზის ტრანსპორტის პარტორგანიზაციას.

ვ. მექვაბიშვილი

პარტინფორმატორის სამუშაო პასუხსაგები და საპატიოა

სალტის სარემონტო სახელოსნოს შეუწყნარებლად ჩამორჩა გეგმის შესრულებაში. 23 აპრილს სახელოსნოს მუშაობის საკითხი განხილულ იქნა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის ბიუროზე. მაშინ ბიურომ ვრცელი გადაწყვეტილება მიიღო, აღნიშნა ნაკლოვანებანი და დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებასაც სახელოსნოს მუშაობაში უნდა უზრუნველეყო ძირითადი გარდატეხა.

ივლისის დამდეგს სახელოსნოს პარტინფორმატორმა, საბურავების გადამრჩევმა ამხ. ო. ოგანეზოვმა პარტიის რაიონულ კომიტეტს აცნობა, რომ არც პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი ამხ. ე. გორიანოვა) და არც დირექციას (დირექტორი ამხ. ჩუბინიძე) არაფერი გაუკეთებიათ რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. ამხ. ოგანეზოვმა შინაარსიან საინფორმაციო მოხსენებაში აღნიშნა, რომ სახელოსნომ პირველი ნახევარწლის გეგმა შეასრულა მხოლოდ 55,6 პროცენტით, რომ შრომის ნაყოფიერება დაბალია (საშუალოდ 76 პროცენტი), არ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, მუშებს განრიგი არ ეძლევა და სხვ. მუშაობაში არსებულმა უკონტროლობამ ის გამოიწვია, რომ საკამერო საამქროში მუშაობის შეფასებას თვითონ მუშები აწარმოებენ. სამუშაოს ჩაშლის მიზეზია მუშა-ხელის დენადობა. 6 თვის განმავლობაში სამუშაოზე მიღებულია 19 კაცი, განთავისუფლებულია 26. აქ სისტემატურად ირღვევა შრომის დისციპლინა. ნახევარი წლის განმავლობაში 20 მუშასა და მოსამსახურეს დაედო სასჯელი. ადგილი ჰქონდა საბურავების განიავებას. წლის დამდეგიდან სახელოსნოს ხელმძღვანელებმა 380 საბურავი გასცეს, რისთვისაც არავითარი საფუძველი არა ჰქონდათ.

შემოწმებით დადასტურდა პარტინფორმატორის ცნობაში მოყვანილი ფაქტები. 27 ივლისს პარტიის რაიკომის ბიურომ კვლავ განიხილა სახელოსნოს მუშაობა. სახელოსნოს დირექტორს ამხ. ჩუბინიძესა და პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანს ამხ. გორიანოვას საყვედური გამოეცხადა რაიკომის ბიუროს 23 აპრილის გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობისათვის. მათ წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ რაიკომის ღონისძიებათა განხორციელებას და ამით უახლოეს ხანში გადამწყვეტი გარდატეხა მოეხდინათ სახელოსნოს მუშაობაში.

პარტინფორმატორთა მუშაობა მეტად პასუხსაგები და საპატიოა. მათი დახმარებით პარტიის რაიონული კომიტეტი მუდამ იცნობს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას.

პარტინფორმატორის ამხ. ჰ. ფრონის დახმარებით რაიკომმა გაარკვია, რომ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ზარემბო) სრულიად არ აქცევს ყურადღებას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი წრის მუშაობას. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტები შეამოწმა. გამოირკვა, რომ 10 თვის განმავლობაში წრის მსმენელებმა შეისწავლეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მხოლოდ 3 თავი. წრის მუშაობაში ამ შეუწყნარებელი ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ აქ ხშირად იშლება მეცადინეობა როგორც მსმენელთა მიზეზით, ისე პროპაგანდისტ ამხ. ქალინკის მიზეზით. მთელი წლის განმავლობაში 29 მეცადინეობის ნაცვლად მოეწყო სულ 16 მეცადინეობა, თანაც მეცადინეობას მსმენელთა 50 პროცენტი ესწრება. კომუნისტმა ბალარჯიშვილმა 4 მეცადინეობა გამოსტოვა, ოსეფიანმა — სამი. მაგრამ პარტბიუროს მდივანს მათს წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიუღია.

თბილისის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში პარტინფორმატორად არჩეულია ინჟინერი ვ. ვასილევსკი. მან პარტიის რაიკომს აცნობა, რომ პარტორგანიზაციის ბიურო და პირადად ბიუროს მდივანი ამხ. ფაშიშვილი სუსტად მუშაობს პარტიული პროპაგანდის საკითხებზე. პარტბიუროს მდივანმა ამხ. ფაშიშვილმა არ იცის ინსტიტუტის ყველა კომუნისტი და მუშაკი ეუფლება თუ არა ბოლშევიზმის თეორიას, ვინ მუშაობს წიგნით დამოუკიდებლად, ვინ მეცადინეობს წრეში. აქ მხოლოდ ერთხელ გაიმართა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელთა თათბირი. ამ თათბირზე კომუნისტებმა მრავალი ძვირფასი წინადადება შეიტანეს და სურვილი გამოსთქვეს, რომ ლექციები, კონსულტაციები და ექსკურსიები მოწყობილიყო. მაგრამ კომუნისტების წინადადება არავის აღურიცხავს. თათბირის ოქმში ჩაწერილია „მიღებულ იქნას ცნობად“.

რაიონული კომიტეტის კონკრეტული დახმარებით პირველადმა პარტორგანიზაციებმა ნაკლოვანებანი გამოასწორეს.

6 თვის განმავლობაში ინფორმატორებმა რაიკომს წარუდგინეს 24 საინფორმაციო მოხსენება, რომლებიც სიგნალს იძლეოდნენ პარტიულ-მასობრივი, პროპაგანდისტული და სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ.

დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული კრებების ოქმების დროულად წარდგენას რაიკომში.

რაიონს 102 პარტინფორმატორი ჰყავს, მაგრამ მათ შორის ზოგიერთი წესიერად არ აღგენს რაიკომში ოქმებსა და საინფორმაციო მოხსენებებს. ბავშვთა საინფექციო საავადმყოფოს ინფორმატორს მთელი წლის განმავლობაში არცერთი ინფორმაცია არ წარუდგენია. დავალებით ჰგზავნიან პარტიული კრებების ოქმებს „თბილვაჭრობის“ ავტობაზის ინფორმატორი ამხ. ზ. დალაქიშვილი და ვერის ბაზრისა — ამხ. ვ. ნალიკაშვილი. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის პარტორგანიზაციას (მდივანი ამხ. ზარემბო) ჯერაც არ წარუდგენია № 1, 2, 3, 4 ოქმები.

○

ინფორმატორების მუშაობა მტკიცედ აღირიცხება. რაიკომის ინსტრუქტორ-ინფორმატორს ამხ. დ. კაულაშვილს ჟურნალში შეაქვს ყველა მიღებული საინფორმაციო მოხსენება. სპეციალური ჟურნალით აღირიცხება რაიკომში მიღებული პარტიულ კრებათა ოქმები. ასეთი აღრიცხვა რაიკომს საშუალებას აძლევს უხელმძღვანელოს ინფორმატორების მუშაობას. ეს დადებითად გამოცდილება თავის თავს ამართლებს და იგი თავიანთ მუშაობაში უნდა გამოიყენონ პარტიის ყველა რაიკომის ინსტრუქტორ-ინფორმატორებმა. (საქდესი).

თბილისის ბრძ. წითელი ფაბრიკის პარტკაბინეტის კონსულტანტი ამხ. გ. იარალოვი ჯგუფურ კონსულტაციას ატარებს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მე-2 თავის მიხედვით. საამქროების თეორიული კონფერენციების მომხსენებლებთან და თანამომხსენებლებთან. საქდესის ფოტოკორონიკა.

ჩაის კრეფის სახელოვანი ოსტატი

ეს იყო 1924 წელს. მშრომელი გლეხების მოთხოვნით ჩაქვის თემში (ქობულეთის რაიონი) კოლმეურნეობა მოეწყო. კოლექტიური შრომით შეუდგნენ ისინი ტყისა და ბუჩქნარის გაწმენდას, ახლადათვისებულ მიწებზე ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურები გააშენეს. გავიდა წლები. კოლმეურნეობა განმტკიცდა მეურნეობრივ - ორგანიზაციულად. ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები და ციტრუსოვანთა ბაღნარი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა. აუწერელ სიხარულს გამოსთქვამდნენ კოლმეურნენი, როდესაც ციტრუსების და ჩაის პირველ მოსავალს იღებდნენ.

ჩაის პირველი მოსავლის აღებაში მონაწილეობა მიიღო ამავე კოლმეურნეობის წევრის შვილმა, 11 წლის გოგონამ ხატიჯე კაკაბაძემ. ამ დღიდანვე ხატიჯე სწავლობს ჩაის კულტურას. გავიდა რამდენიმე წელი. ხატიჯე კარგად დაეუფლა ჩაის კრეფის ტექნიკას.

საკოლმეურნეო სოფელს ულიანოვკა უწოდეს, კოლმეურნეობას კი —ძველი ბოლშევიკის ამხ. სტურუას სახელი. ჩაის ფოთლის კრეფაში დახელოვნებულმა ხატიჯე კაკაბაძემ 1935 წელს სტახანოველის საპატიო სახელი მოიხვეჭა, იგი ნამდვილი საკოლმეურნეო შრომის გმირი გახდა. ხატიჯეს შეუყვარდა თავისი კოლმეურნეობა და ჩაის კულტურის 20 წლის განუყრელი მეგობარია.

ხატიჯე ჩაის კრეფის ყოველ სეზონში იბრძოდა, რომ მოწინავეთა რიგებში ყოფილიყო. პატიოსანი შრომით იგი ყოველწლიურად სტახანოველის სახელს ინარჩუნებდა. მოხერხებულად, თითების ელასტური სწრაფი მოძრაობით, სამუშაო დროის სრულად გამოყენებით, ჩაის კრეფაში მან შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია. მას მრავალი ჯილდო აქვს მიღებული, მაგრამ მისთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი და ძვირფასი ჯილდოა მთავარი საგამოფენო კომიტეტისაგან მიღებული ვერცხლის პატარა მედალი, 1937 და 1938 წლებში ჩაის ფოთლის კრეფის ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

თუ 1931-32 წლებში ამხ. ხატიჯე დღეში 30 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფდა, 1940 წელს საშუალოდ დღეში 120 კილოგრამ ფოთოლს ჰკრეფს. ყოველდღიურ ნორმას საშუალოდ 1.000 პროცენტით ასრულებს.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს III სესიის გახსნის აღსანიშნავად 29 ივნისს მან დაამყარა ჩაის კრეფის ახალი რეკორდი: ერთს დღეში 428,4 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა და გამომ

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲪᲮᲔᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲛᲔᲪᲮᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲛᲔᲪᲮᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

##